საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია | სამშაბათი, 17 ივნისი 1919 წ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | № 131

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთის ფასი: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 80 მანეთი. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

განუსაზღვრელი მწუხარებით თავზარდაცემული დედა სერმილო, ძმები: ეპიფანე, არონ და ანტონ, რძალი მარუსია, ძმისწულები გიორგი, შალვა და ნოე გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ს. აცანაში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ძვირფასი

აფთონ სილიბისტროს ძე ჩხაიძე

დასაფლავება მოხდება დღეს 17 ივნისს ს. აცანაში დღის 3 საათზე.

საქართველოს ექიმის თანაშემწეთა კავშირის გამგეობა აუწყებს ამხანაგებს, რომ ს. აცანაში გარდაიცვალა კავშირის საუკეთესო წევრი და დაუღალავი მუშაკი

აფთონ სილიბისტროს ძე ჩხაიძე

დასაფლავება მოხდება დღეს 17 ივნის ს. აცანაში დღის 3 საათზე.

ხუთშაბათს, 19 ივნისს ახალი სტილით (ძველი სტილით 6 ივნისს) სოფ. ნოსირში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვლილის

იონა (ვანო) პავლეს ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულ დათუთქული მშობლები: პავლე გვატის ძე და მატრონა გუგულას ასული, ძმები: ლაზარე ოჯახობით, სიმონ ოჯახობით, ანდრო ოჯახობით, პლატონ და მიხეილ (მიშა) პავლეს ძენი კილასონიები, და ელენე (ოლია) პავლეს ასული კილასონია წოწორიასი და სიძე ერმილე ალექსის ძე წოწორია.

კვირას 22 ივნისს ს. გორდში (სენაკის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის

ამბაკო პეტრეს ძე ფანცულაიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა ონისიმე პეტრეს ძე, რძალი თებრონია გიორგის ასული, შვილები ვახტანგი, მარგარიტა და თინათინი ფანცულაიები.

კვირას 22 ივნისს (ახ. სტილ.) ს. გორდში (სენაკის მაზ.) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხეთთან ომში ტრაგიკულად მოკლულის სახალხო გვარდიელის

ლეონტი ნიკოს ძე ფანცულაიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ბიძაშვილი ონისიმე პეტრეს ძე, რძალი თებრონია გიორგის ასული, შვილები: ვახტანგი, მარგალიტა და თინათინი ფანცულაიები.

მწუხარებაში მყოფნი დის შვილები: კირილე ამბაკოს ძე ლოლაძე, მიხეილ მასი ოლდა და პროკოფი ლოლაძე, სიძე მისი პეტრე რუსიევი და ქსენია რუსიისა თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი დედის

ლიზა პავლეს ასული ჩხიკვაძე-ცხაკაიასი

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება 17 ივნ. არამიანცის საავადმყოფოდან, დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე დილის 10 საათზე.

ამხანაგები და თანამოსამსახურენი თფილისის რკინ. გზ. საავადმყოფოსი ამით აუწყებენ, რომ დასაფლავება პარტახტიანი ტიფით უდროვოდ გარდაცვალებულ ექიმის თანაშემწისა

გაბრიელ დიმიტრის ძე მირზაპისა

მოხდება 17 ივნის საათის 1 ზე.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **გალაკტიონ ტაბიძის**

ლექსების II ტომი

წიგნი პირველ ხანებში გაიყიდება შემდეგ მაღაზიებში: სასახლეში, საქვესტროო ნაწილში, და გაზ. „ერთობის“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციებში.

იბეჭდება:

თაგუნა

წიგნი I

მოღალატეებთან ბრძოლა

იმ დროს, როდესაც სახელმწიფო გარეშე მტრის შემოსევის წინაშე სდგას და საომარ მზადებაშია, უბრალო კეთილგონიერება მოითხოვს იზრუნოს შინაური ფრონტის გამაგრებაზე. შინაური ღალატის მოწყობა და თავის აგენტების შემოჩენა მტრის ხელში ერთი მნიშვნელოვანი იარაღია, და ამას დღევანდელ პირობებში უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს. ისეთი ინტერნაციონალური ქალაქი, როგორიც არის თფილისი, ძნელად თუ მოიპოვება სადმე და რა გასაკვირველია, თუ ამ ნახევრად არა საქართველოს მოქალაქეებით დასახლებულ ქალაქში დენიკინმა ადვილად იპოვა თავისი შავი საქმის არა ერთი თანამგრძნობი.

ჯერ წესიერი ომი არ დაწყებულა, მაგრამ დენიკინის შემოჩენილმა აგენტებმა უკვე დაიწყეს თავისი მუშაობა. რამდენიმე მათგანის „მუშაობა“ გამოაშკარავებულია კიდეც ამ დღეებში, მაგალითად, შეუპყრიათ ჩვენი რესპუბლიკის სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილების მოხელე ვინმე ნიკიტინი, რომელიც ჩრდილო-კავკასიისკენ მიემგზავრებოდა და თან მიჰქონდა ჩვენი ქვეყნის ტოპოგრაფიული ქარტები. სხვა ამისთანა პიროვნებებზედაც დაჟინებით ლაპარაკობენ.

მაგრამ თავს იჩენს მოღალატეთა მეორე კატეგორიაც, ბათუმში გამოჩენილი გენერალი ნათიშვილი, გვარტომობით ქართველი, რომელიც თურმე დენიკინის დასახმარებლად ჯარს აგროვებს საქართველოს წინააღმდეგ. დანამდვილებით ვიცით, რომ დენიკინის ჯარში ნათიშვილი არ არის ერთად-ერთი ქართველი ოფიცერი: იქ მოიპოვებიან სხვა ქართველი ოფიცრებიც, რომლებიც გაჯავრებულან თავის სამშობლო ქვეყანაზე იმიტომ, რომ აქ მათი ღირსებები საკადრისად ვერ დაუფასებიათ და მტრის ბანაკში გადასვლა აურჩევიათ.

საჭიროა სასტიკ ზომების ხმარება ყველა კატეგორიის მოღალატეთა წინააღმდეგ. შინ შემოჩენილ მოღალატეთა აღმოჩენა, რა თქმა უნდა, მთავრობის პირველ მოვალეობას შეადგენს. მაგრამ მეორე კატეგორიის მოღალატეებსაც ეპირებათ სასტიკი ბრძოლა. ახალს ზომებს ჩვენ ვერ გამოვნახავთ, ჩვენ უნდა გადმოვიღოთ ის ღონისძიებანი, რომლისათვისაც მუდამ მიუმართავთ სხვა ქვეყნების რევოლიუციონერებს მოღალატეების წინააღმდეგ.

ნათიშვილისთანა „ემიგრანტები“ მარტო ჩვენში არ ყოფილა: ყველგან, სადაც კი რევოლიუციონური ომები ყოფილა, გამოჩენილან რევოლიუციით უკმაყოფილო სამშობლოდან გაქცეული კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებიც მტრის ჯარს წინ გამოსძღოლიან. ასე მოხდა საფრანგეთის რევოლიუციის დროს. მიწებ-ჩამორთმეული მარკიზები და გრაფები სამშობლოდან გარბოდენ და უცხო სახელმწიფოებში მის წინააღმდეგ ჯარებს აგროვებდენ. მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციონერებიც არ დაერიდენ არავითარ მკაცრ ზომებს მათთან ბრძოლაში: დაუნდობლად კონფისკაციას ახდენდენ მოღალატეების მთელ ქონებისას.

ჩვენც ამნაირ ზომების წინაშე არ უნდა შევდრკეთ, სომხეთთან ომის დროს ჩვენ გვქონდა კანონი, რომელიც მთავრობას ნებას აძლევდა კონფისკაცია მოეხდინა მოღალატეთა მთელი ქონებისა. ეს კანონი დღეს უნდა ისევე აღვადგინოთ. ვიცით, რომ ბევრნი აყაყანდებიან ამ „თვითნებობის“, „ძალადობის“, სიმკაცრის გამო, მაგრამ ჩვენ ამ ყაყანს არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. საფრანგეთის რევოლიუციონერების ამნაირმა ზომებმაც გამოიწვიეს აღშფოთება ზოგიერთ წრეებში. რეაქციონური ისტორიკოსები მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ შერიგებიან ბრძოლის ამნაირ მეთოდებს და დღესაც ამ ზომებს იგონებენ, როგორც დაუშვებელ თვითნებობას და ბარბაროსობას. იქნება მომავალშიაც აღმოჩნდენ ისტორიკოს ტენისთანა მეცნიერები, რომლებიც კანკალით მოიგონებენ საქართველოს მთავრობის ამ „სისასტიკეს“, მაგრამ საბედნიეროთ უფრო სერიოზული და მიუდგომელი ისტორიკოსები მიხვდებიან, რომ ამნაირი ზომები საჭირო იყო ისევე, როგორც საჭირო იყო ტერორისტული სისტემა, რომლითაც იაკობინელებმა გადაარჩინეს საფრანგეთი კონტრ-რევოლიუციისაგან.

* * *

საქართველო და მისი გზა

X

რეაქციის საფრთხე.

დენიკინის და მისი კონტრ-რევოლიუციურ ლაშქარის შესახებ ბევრი იწერება.

საზოგადოების და მთელი ერის ყურადღება დღეს მიპყრობილია იქითკენ, თუ როგორ აიცდინოს თავიდან რეაქციის ის საშიშროება, რომელიც დენიკინის სახით უკვე კარზე მოადგა და ემუქრება დამოუკიდებელ საქართველოს, მის დემოკრატიულ წესწყობილებას, ქართველი ხალხის თავისუფლებას.

თქმა არ უნდა, დენიკინი და მისი მუქარა თავის თავად არ წარმოადგენს იმ საშიშროებას, რომლის წინაშე უნდა ირთოდეს და თავს იხრიდეს პატარა, თავისუფალი საქართველო.

ქართველ ერს თავის დამოუკიდებლობის დღიდანვე არა ერთხელ გაუფანტავს და დაუმარცხებია შეიარაღებული ბრბოები, ურდოები, რომელთა განზრახვა იყო საქართველოში შემოჭრა, შემოსევა.

ასეთივე ბრბოს წარმოადგენენ დენიკინელები და კიდევაც ღირსეულ პასუხს გასცემს მათ საქართველოს გაწვრთნილი დემოკრატია.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დენიკინის მოძრაობა არის ერთი ნაწილი იმ უდიდესი რეაქციონურ მოძრაობის, რომელმაც წამოყო თავი საერთაშორისო მაშტაბით და ემუქრება ევროპის დემოკრატიას, განთავისუფლებულ ერებს, მაშინ ჩამოქრებულია ის საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს საზოგადოთ საერთაშორისო რეაქცია მთელ კაცობრიობისათვის და კერძოთ დენიკინი ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკებისათვის. საერთაშორისო გიგანტურმა ბრძოლამ ჯერ იმპერიალისტური ომის სახით, შემდეგ შეუბრალებელ სამოქალაქო ომისა, ლოღიკურად მიიყვანა და ჩააბა მთელი კაცობრიობა, თითოეული ერი თავისი სიმკაცრით და შედეგებით უფრო საშინელ ომში, ორ უდიდეს საზოგადოებრივ ძალთა—რევოლიუციის და რეაქციის—შუა. აშკარაა, დღეს მთელი კაცობრიობა დაიყო ორ ბანაკათ. და მათ შორის ატეხილია სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. რეაქციის მხარეზე დგანან ზოგიერთი ევროპის დიდი სახელმწიფონი თავიანთი ჯერ ისევ ძველი მთავრობის მეთაურობით. რევოლიუციის მხარეზე—ამ სახელმწიფოთა გამოღვიძებული მებრძოლი დემოკრატია და განთავისუფლებული დემოკრატიული ერები. ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გარიყულად მდგომი ანარქიული რუსეთი უწყობს ხელს და ამაგრებს საშინელ ევროპიულ რეაქციას, ადვილათ წარმოიდგენთ ამ ორ ანტიპოდთა—რევოლიუციასა და რეაქციის შუა ბრძოლის სიმკაცრეს და ხანგრძლივობას.

ევროპის რეაქციის და რუსეთის ანარქიის გამარჯვება ნიშნავს უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების მოტრფიალეთა სისხლის მორევში ჩახრჩობას, რევოლიუციის მეთაურების წამებას და მათგან სამუდამოთ უფლისუფლის გამოსალმებას, ძირიან-ფესვიანად განადგურება-აღმოფხვრას დემოკრატიულ წესწყობილების, თავისუფალ პატარა ერების და რესპუბლიკებისა და შემდეგ ფეოდალ-კაპიტალისტების უფრო მკაცრი ბატონობის ისევ ფეხზე წამოყენებას. გამარჯვება რევოლიუციისა კი ნიშნავს მშრომელ ხალხის განთავისუფლებას მემამულეთა ეკონომიურ სიღუხჭირისაგან, თავის დაღწევას ბურჟუაზიულ კლასის პოლიტიკური ბატონობის ბრჭყალებისაგან. ვინ გაიმარჯვებს საბოლოოთ ამ ბრძოლაში—რევოლიუცია თუ რეაქცია, ეს ძნელი გადასაწყვეტია. მაგრამ საჭირო არაა წინასწარმეტყველი იყოთ, რომ სთქვათ, გამარჯვების სასწორი საბოლოოდ უეჭველად გადიხრება რევოლიუციის მხარისაკენ.

ამის თავდებია ის ობიექტიური პირობები, რომელთაც წარმოშვეს საერთაშორისო სოციალური რევოლიუცია.

რა თქმა უნდა, მებრძოლი პროლეტარიატი და დემოკრატია არას დროს თავს არ ინუგეშებს მარტო იმ იმედით, რომ რევოლიუცია ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს.

იგი თავის იმედს და რწმენას ამყარებს თავის დღევანდელ ძალაზე და აი, ამ დღევანდელ ძალას უპირდაპირებს რეაქციას.

ამ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა დაირაზმონ ყველა ხალხის რევოლიუციური ძალები აგრეთვე საერთაშორისო მაშტაბით.

თუ რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფო, რევოლიუციური დემოკრატია ერთ წუთსაც გაიფიქრებს, რომ იგი განმარტოებული შეებრძოლება რეაქციას, როდესაც ეს უკანასკნელი ამა თუ იმ სახით მიიტანს მასზე იერიშს, დაემუქრება მის არსებობას, ან თუ თავის იმედებს დაამყარებს მარტო ობიექტიურ პირობებზე. სწორედ მაშინ საერთაშორისო რეაქცია ადვილად გასტეხს წელში დეზორგანიზაციულ რევოლიუციას და სამუდამოდ გადასწყვეტს ბედს ყველა ქვეყნის დემოკრატიისა და განთავისუფლებულ პატარა ერებისა. აი სწორედ ამ მხრივ წარმოადგენს საშიშროებას და დიდ საფრთხეს რეაქცია.

დენიკინის რეაქცია, როგორც ზემოთ ვსთქვით, წარმოადგენს ნაწილს საერთაშორისო რეაქციისას. ამ რეაქციით სულდგმულობს დენიკინი, მაზე ამყარებს თავის იმედებს, მისი დახმარებით მოაქვს იერიში ამიერ-კავკასიაზე.

დამარცხება დენიკინისა არის შესუსტება, უკან დახევა საერთაშორისო რეაქციისა, მაშასადამე გადარჩენა თავისუფალ ერებისა. ამას კარგათ ხედავენ და გრძნობენ საქართველოს, აზერბეიჯანის და მთიელთა ხალხები, მხოლოდ ვერ ხედავს ამას დაბრმავებული დაშნაკცუტიუნის პოლიტიკით, არარატის რესპუბლიკა.

ამას კარგათ ხედავენ და კიდევაც ემზადებიან ამ რეაქციასთან შესაბრძოლებლად საქართველო-

დღეს

მოკავშირეები კოლჩაკს შეპირდნენ, რომ რუსეთს ხალხთა ლიგაში მიიღებენ, როგორც კი რუსეთში წესრიგი დამყარდება.

ბელგიის პრესა პროტესტს გამოსთქვამს გერმანიის ტერიტორიის ანექსიის შესახებ.

ფიუმეს საკითხი მალე არ გადაწყდება.

ბოლშევიკების ცნობით დენიკინის ფრონტზე საბჭოთა ჯარები უკან იხევენ. კოლჩაკის ფრონტზე საბჭოთა ჯარები წინ მიიწევს.

ლის მოქალაქენი, მისი რევოლიუციური დემოკრატია, ირაზმება აგრეთვე აღერბეიჯანის დემოკრატია, ბაქოს მებრძოლი პროლეტარიატი; არ წყნარდებიან დენიკინის მიერ დაპყრობილი მთიელი ხალხები. მხოლოდ ყველა ამ ძალთა დარაზმვას, ამ შეერთებულ ამიერ-კავკასიის მოკავშირეებს ასუსტებენ შინაური მტრები.

ვინ არიან ეს მტრები, როგორ და რა გზით უნდა ავილაგმოთ იგინი, ამაზე შემდეგ.

ქ. კახელი.

ალ. ტომას წერილი ი. წერეთლის წიგნის შესახებ

ამას წინად ფრანგულ ენაზე გამოვიდა ირაკლი წერეთლის სამი სიტყვა. ეს სიტყვები წარმოთქმულია ირ. წერეთლის მიერ წარსულ 1918 წელს ამიერ-კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. წიგნს წამძღვარებული აქვს ცნობილი ფრანგი სოციალისტის ალბერტ ტომას შემდეგი წინასიტყვაობა:

„ჩხეიძე! წერეთელი!

როცა ისინი მოდიოდნენ ჩემთან ამ რამდენიმე კვირის წინად, მხურვალედ მივესალმეთ ერთმანეთს და სამივემ ვიგრძენით რაღაც განსაკუთრებული აღელვება.

ჩვენ ხსოვნაში აღსდგა აღფრთოვანებითა და შიშის ეშვით სავსე დღეები რუსეთის რევოლიუციის დასაწყისისა. წარმოვიდგე ჩხეიძე პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ, სახელმწიფო სათათბიროს კომისიების დარბაზში, რომელიც გავსებული იყო ხალხით—მუშებით სამუშაო ტანისამოსში, ჯარისკაცებით, ინტელიგენტებით, მჭიდროთ შეკრებილნი დიდი მაგიდის გარშემო, რომელიც არ იყო საკმარისი ხალხის დიდის რიცხვისთვის, და რომელნიც ჩაის ჭიქებით და „ბულკებით“ ხელში ბაასობდნენ მთელი საათების განმავლობაში პროლეტარიატის მომავალსა და იმპერიალიზმის სიბოროტეზე.

ეს იყო ჩხეიძე, რომელიც, მიუხედავათ თავის უღიმარი, შუბლ შეკრული და სადა სახისა, თავისი მახვილი გონებით, სადა წინადადებებით, მარტივი და განსაკუთრებით თავისი უმაღლესის ნიჭით ხელმძღვანელობისა, სარგებლობდა ნამდვილის და სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტით.

ზოგჯერ მე უკმაყოფილო ვიყავი იმით, რომ ის არ აღნიშნავდა საკმარისად შკაფიოდ იმ მიმართულებას, რომელსაც მისი შორს მხედველობა სჯიდა სასარგებლოთ რუსეთის რევოლიუციისათვის. ბოლშევიკური გამოცდა გვაფიქრებს, რომ მისმა მოფიქრებულმა სიფრთხილემ ხელი შეუწყო მთელი თვეობის განმავლობაში ერთგვარ პოლიტიკას, რომელიც არ შეიძლება დავივიწყოთ, იყო ხელსაყრელი მოკავშირეებისათვის.

წერეთელი? ვის შეუძლია ოდესმე აღნიშნოს ის სიმდიდრე არგუმენტაციისა, რომელიც მისმა მოქნილმა გონებამ დახარჯა ამ ხანის განმავლობაში სახალხო ყრილობებზე? ვის შეუძლია გამოსთქვას სილაღე, სიდარბაისლე, განუწყვეტელი გრძნობიერება, რომელიც მას აძლევდა სახსარს მიემხრო ის დიდი ბრბო სლავიანებისა, რომელსაც შეუძლიან აღფრთოვანება სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებით, მათი გონებით, წამგვარს რბილს სანთელს, რომელიც მხოლოდ ერთის წუთით ინარჩუნებს ყველაზე უძლიერეს შთაბეჭდილებას. არავის შეეძლო იმასავით შეეთანხმებინა ყოვლად შეურიგებელი სოციალისტური დებულებანი, ციმმერვალდის და კიენტალის აზრები გერმანიასთან წინააღმდეგ ბრძოლასთან, ან რუსეთის მხრის დაჭერასთან ანტანტის ფარგლებში.

ზოგჯერ მსჯელობა, რომელიც ჩამოყალიბდებოდა ხოლმე ნამდვილ რევოლიუციონურ სოფისტიკაში, შეიძლება სჩვენებოდათ დასაგმობად დასავლეთის მოუთმენელ ადამიანთ. ნამდვილად კი, ვიმეორებ, მან მისცა ანტანტას რამდენიმე თვე, რომელიც საჭირო იყო მისთვის და მისი ამერიკელ მოკავშირეების ძალთა მოკრებისათვის.

და ეხლა ეს პირნი, რომელნიც კერენსკისთან ერთად იყვნენ ბატონ-პატრონნი უზარმაზარი რუსეთის ბედისა, რომელთა პოზიცია და ზრახვანი აშინებდა მთელი ქვეყნიერების ყველა სახელმწიფოს მთავრებს, მოდიან ჩვენთან როგორც წარმომადგენელნი პატარა ერისა სამ ნახევარ მილიონის მცხოვრებით, რომელიც მიუხედავად ამისა, მაინც მოითხოვს თავის საზღვრებს და თავის დამოუკიდებლობის ცნობას.

ძლიერნი თავიანთ საშინაოს აღდგენის მოთხოვნით, ძლიერნი წმინდის პრინციპით რომ პატარა ერებს, როგორც დიდებს, აქვთ უფლება სიცოცხლისა, ეს ესენი პირნი, თავმდაბალი და მტკიცე მოციქულნი, რომელთა მისიას ვერ აჩერებს ვერავითარი აზრი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა, მაინც მოდიან დაიცვან ამათ წინაშე, რომელთანაც გუშინ ისინი როგორც თანასწორნი სჯიდნენ თავიანთ მემამულეთა უდავო უფლებები და ცდილობენ გააშუქონ ევროპის აზრისათვის ბედი მათი შორეულის მთებისა.

გავბედავ ვსთქვა, რომ ამ წუთს ისინი იყვნენ ჩვენთვის უფრო ძვირფასნი, ვიდრე წარსულში და გულითა და სულით ვცდილობ მივეშველო მათ მთელის ჩემის ნიჭით, მთელის ჩემის ძალით.

წერეთელი მთხოვს ვუძღვნა წინასიტყვაობა მის სამს სიტყვას, რომელიც მან მოათავსა ამ პატარა წიგნაკში. მე ვასრულებ ამას მით უმეტეს ხალისით, რომ ეს რამდენიმე გვერდი ცხადად ჰყოფს არა მარტო ჩვენი მეგობრების აზრების მტკიცე სიმართლეს, მათ ცვალებად გარემოებაში, არამედ—ის აუცილებლივ მოჰფენს ზოგიერთს შუქს იმ საერთო არეულ და სინამდვილეს მოკლებულ აზრებს, რომელიც არსებობს რუსეთის საქმეების შესახებ.

დღეს ბევრი ფრანგი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას. მათ იციან, რომ ანტიური ხანის აქეთ, საქართველომ, გაქრისტიანებულმა, მეოთხე საუკუნეში, შექმნა თავისი ორიგინალური ცივილიზაცია, რომელიც ერთ და იმავე დროს განიცდიდა გავლენას ბიზანტიის და აღმოსავლეთის, სპარსეთის და არაბეთისას. როგორ მოიპოვეს მათ „ავტოკეფალური“ ეკლესია; როგორ შეჰქმნეს მათ შემდეგში თავიანთი პოლიტიკური მთლიანობა და მათი კულტურის სრული აყვავების შემდეგ, X—XIII საუკუნეებში მათ დაიცვეს ზედი-ზედ, უმაგალითო ცვალებადობათა ხანაში, თავისი დამოუკიდებლობა მონგოლებისაგან, თურქების და სპარსელებისაგან.

მაგრამ, დადგა დრო, როცა განმარტოებით ბრძოლა ამ ერისათვის შეიქნა მეტად მძიმე. მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს მთავრები ეძებენ რუსეთის დახმარებას. 1783 წელს მოხდა ხელშეკრულება საქართველოს მეფის ირაკლი მეორის და რუსეთის ეკატერინე მეორეს შუა.

მაგრამ რუსეთის ბუმბერაზს არ შესწევდა თავის დიდში უნარი მფარველობისა. 1801 წ. რუსეთის მეფემ ალექსანდრემ მოსპო პროტექტორატი და შეიერთა საქართველო.

მაშინ, ქართველი ერი, დაქანცული საუკუნოებრივი ბრძოლებით, ცოტა ხნით თითქოს მიეცა ერთგვარ მიყუჩებას, შემდეგში ნელნელა ქართველთა აზრი გამოფხიზლდა. დაიბადა ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა და გაფართოვდა, რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანს, 1905—1906 წ., საქართველოს დემოკრატიამ ბრწყინვალედ გამოიჩინა თავისი ძალა, თავისი სიმწიფე და დისციპლინა.

რუსეთის რეპრესიები 1906 და 1907 წლისა სასტიკი იყო საქართველოსათვის. ბევრი გადაასახლეს, განსაკუთრებით ციმბირში.

მიუხედავად ამისა, 1907 წლამდე სოციალისტურ და რევოლიუციონურ მოძრაობას აქ მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

წერეთელი და ჩხეიძე იყვნენ ყველაზე მჭერმეტყველი წარმომადგენელნი სათათბიროში. მათ თითონ იგემეს დევნა და ციმბირში ცხოვრება. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სეპარატიული აზრები არ მოსვლიათ ფიქრად ქართველ დემოკრატებს და სოციალისტებს.

მათ ჰქონდათ შეგნება, რომ თვითმპყრობელობის დროს „საერთო ინტერესი აკავშირებდა ცარიზმით დამონებულ ყველა ხალხს“.

როცა 1917 წ. თებერვალ-მარტის რევოლიუცია დაიწყო, სოც-დემოკრატებს რევოლიუციონური რუსეთი მიაჩნდათ საერთო სამშობლოდ ყველა იქ მცხოვრებ ხალხისათვის. მართალია, დემოკრატია არსებითად უნივერსალური არის. ეს არის ხალხთა უფლების შესაფერი პოლიტიკური წესწყობილება, სხვადასხვა ცვლილებით, რომელსაც მასში ახდენს ისტორიული ტრადიციები რევოლიუციის დროს, ის ხდება ყველა ერისთვის მისაღები, ძალმოსილი ჩამოყალიბების ყველა ერთა ერთგულად ახალგაზრდა რევოლიუციის აღფრთოვანების წამებში. ეს აზრი აცხოველებდა ყველა მის მეთაურებს და თვით ბოლშევიზმი მასში იყო მხოლოდ უბედური კარიკატურა.

1917 წლის ნოემბრამდე საქართველოს დემოკრატიის ინტელიგენცია, [illegible] ენტუზიასტური იმედით მსოფლიოს დემოკრატიისათვის ახალი გზის და გამამხნევებელი ენერგიის მოპოვებისა იცავდა რუსეთის მთლიანობას, მონაწილეობას იღებდა მთელი რუსეთის მთავრობაში.

მაგრამ ნოემბერში 1917 წ. ბოლშევიკურმა რევოლიუციამ წამოაყენა მათ ერთგვარი ქენჯნა სინიდისისა თუ მათ აქამდე საკმარისად გაუწიეს ანგარიში ზოგიერთ რეალურ დაბრკოლებებს, თუ ისინი გადამეტებულის სიჩქარით გაჰყვნენ შორს თავის იდეებს, ბოლშევიკებმა გამოაფხიზლეს ისინი და დაუბრუნეს სინამდვილეს.

რასაკვირველია, შესაძლო იყო გაეზვიადებინათ მოთხრობა ბოლშევიკებს მიერ შესაზარავ ხოცვა-ჟლეტისა. შესაძლო იყო გაზვიადება მართლა არსებულ მშვიდობის მოლოდინისა, მაგრამ მხოლოდ წერეთლის რამდენიმე სიტყვაში ვპოვებთ ჩვენ ყველაზე უმტკიცესს და მკაცრ კრიტიკას ამ ერთა და სახელმწიფოთა მკვლელებისას“.

ის, რასაც ყველაზე უმთავრესად უსაყვედურებს ბოლშევიკებს წერეთელი, რამაც გამოიწვია ამიერ-კავკასიის გამოყოფა, არის ის, რომ მათ ჩასცეს სასიკვდილო ლახვარი ერის და სახელმწიფოს არსებობას, რადგანაც მათ დააყენეს სხვადასხვა ერი დილემის წინაშე: „ან მოსპონ საკუთარის ხელით ფიზიკური და პოლიტიკური არსებობა თავისი ერისა, ან ჩამოშორდნენ რუსეთს“.

მეორე, რასაც ის უსაყვედურებს ბოლშევიკებს, ეს არის მათი მუქარა გაეჩაღებინათ ყველგან სამოქალაქო ომი და ძმათა სისხლი ეღვარათ, გაენადგურებინათ ყველა საუკეთესო ძალები და უდროო მასსად გადაექციათ, ყველა იმ დამპყრობელთათვის, რომელიც კი მიუახლოვდებოდა მათ ნანგრევებს.

ალბერტ ტომა.

(დასასრული იქნება)

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან

რადგანაც ქალაქში ავრცელებენ ყალბ ხმებს ზოგიერთი რუს მოქალაქეთა და მათ შორის ი. ა. იგნატევის, ვ. ი. შაპოვის, დ. დ. ეროფეევის და სხვათა შეპყრობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრო სთვლის საჭიროთ განაცხადოს, რომ სამინისტროს ცნობებიდან და დამნაშავეთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ზემოხსენებული მოქალაქენი, რომლებიც შინაურულად არიან დაპატიმრებულნი, ეკუთვნიან საზოგადოება „ზაკავკასკაია რუსს“, რომელიც ემსახურება ერთიანი და განუყოფელ რუსეთის აღდგენის იდეას, ნამდვილათ კი, მიზნათ დაისახა ამ საზოგადოებამ ძველი რეაქციონური რეჟიმის აღდგენა, რისთვისაც ეწევა რესპუბლიკაში პროპაგანდას საქართველოს და მის მთავრობის წინააღმდეგ. ამ პროპაგანდამ მიიღო უფრო მკაცრი ხასიათი იმ მომენტიდან, როცა მთავრობის განკარგულებით დახურულ იქნა სამხედრო საკრებულო, ამით სურდათ ესარგებლათ მათ და რუსობა აემხედრებინათ ქართველების წინააღმდეგ. ამ განმარტებიდან ნათლად სჩანს, რომ მიღებული ადმინისტრატიული ზომებს, ზემოხსენებულ პირთა მიმართ, არავითარი კავშირი არ აქვს რუს მოქალაქეთა იმ ყრილობასთან, რომელიც თბილისში სწარმოებდა. ამ ჯგუფთა შეპყრობის მიზანი არის მათი მოქმედების აღკვეთა, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15—16 ივნისი.

გერმანული პრესის ცნობები.

ბელგიის პრესაში თანდათან იზრდება პროტესტი გერმანიის ტერიტორიის ანექსიის გამო. ბელგია-ფლამანდიის გაზეთი „ფატერლანდი“ ბელგიის ჯარების მიერ ეუპენის დაპყრობის გამო სწერს: „არავითარი ანექსია არ უნდა მოხდეს მცხოვრებლების დაუკითხავათ. არა დროს არ გაგონილა, რომ ეუპენის მცხოვრებლებს ბელგიასთან შეერთება სურდათ. გერმანიისაგან ჩვენ მოვითხოვთ ზარალის ანაზღაურებას. მაგრამ სხვა ერის დაჩაგვრა ჩვენ არა გვსურს. ეუპენის მცხოვრებნი გერმანიის ფარგლებში დარჩნენ, თუ კი ამას ისინი ხმის მიცემით გადაწყვეტენ. ჩვენ არა დროს არ გვსმენია, რომ ამ ოლქში ბელგიის სასარგებლო პროპაგანდა ყოფილიყოს. თუ ეუპენის და ალმედის მცხოვრებნი ბელგიასთან არიან დაკავშირებულნი, მაშინ ანექსიონისტებს პლებისციტის რათ ეშინიათ?

მინისტრების უმრავლესობა ვეიმარში გაემგზავრა პარტიულ ყრილობაში მონაწილეობის მისაღებათ. მოელიან, რომ ხუთშაბათს შეიდემანი დიდ სიტყვას წარმოსთქვამს.

ბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭომ ოთხშაბათს უარყო კომუნისტების წინადადება, რომ როზა ლიუქსემბურგის დასაფლავების დღეს საყოველთაო გაფიცვა გამოცხადებულიყო. დამოუკიდებლებმა გაფიცვის წინააღმდეგ მისცეს ხმა: საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომ დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღონ და ამნაირად გამოსთქვან პროტესტი „რეაქციის ყოველგვარ ბოროტი საქციელის წინააღმდეგ“. მეუმრავლესე სოციალისტებმა ხმის მიცემის დროს თავი შეიკავეს.

ფრანგული პრესის ცნობები.

ლონდონიდან იუწყებიან: კოლჩაკს დაპირდნენ, რომ რუსეთს ხალხთა ლიგის წევრად მიიღებენ დაუყოვნებლივ, როგორც კი მასში წესიერება აღდგენილი იქნება.

ოსმალეთის დელეგატები ვერსალში ჩამოვიდნენ და ისეთივე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან, როგორც გერმანელები და ავსტრიელები.

არის იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფიუმეს საკითხი ჯერ მალე არ გადაწყდება.

ხუთთა საბჭო განაგრძობს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და რუმინიის საზღვრების საკითხების განხილვას. მოხდა შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის საზღვრების საკითხის შესახებ, მაგრამ ბრატიანომ ითხოვა, რამოდენიმე დღით გადასდონ დადგენილების გამოტანა, რათა მას შეძლება მიეცეს ბუქარესტში წავიდეს და რუმინიის მთავრობას მოელაპარაკოს.

„პტი-ჟურნალ“-ის ცნობით, ის დეპეშა, რომელიც კოლჩაკს გაუგზავნეს, მისი მთავრობის აღიარებას, ამ სიტყვის ოფიციალურ მნიშვნელობით, არ შეიცავს, მაგრამ არა ოფიციალური ცნობა ამ მთავრობისა აწევს მის ზნეობრივ პრესტიჟს და ამავე დროს გააუმჯობესებს მის ქონებრივ მდგომარეობას,

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივნისის 14. სამხედრო ცნობა, ივნისის 14. დასავლეთის ფრონტი. მურმანის მიმართულებით რკინის გზის გასწვრივ მოწინააღმდეგე წინ მოიწევს. პეტროზავოდსკის რაიონში მტრის ძალები ჩვენ ჯარს უკან ახევინებენ ვოროწოვის აქეთ, ოლონეცის რაიონში მტერი მდ. ტულოქსაზე უკან ვაგდეთ ლევინსკის დასავლეთით 25 ვერსზე. **სამხრეთის ფრონტი.** მარიუპოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბერდიანსკ სად. გულაი პოლეს რკინის გზა დასტოვა. ბერდიანსკის ჩრდილო-დასავლეთით 100 ვერსის მანძილზე კონტრ-იერიშის დროს მოწინააღმდეგის ერთი პოლკი გავანადგურეთ. პავლოვის აღმოსავლეთით მტრის რაზმი დავამარცხეთ. დონის რაიონში ჩვენი ჯარი ბოგუჩარის აღმოსავლეთით 40 ვერსის მანძილზე მტერს ებრძვის. უფრო აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დონის ხაზზე დაიხია მედვედიცის ქვემოთ. ცარიცინის რაიონში მოწინააღმდეგის ძლიერმა ჯარმა ცარიცინის სამხრეთით 10 ვერსზე ჩვენ ჯარს შეუტია და ოტრადნოე დაატოვებინა. აღმოსავ. ფრონტი. სტერლიტამაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მდ. ბელაიას მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და ებრძვის მოწინააღმდეგის დიდ ძალებს. მდ. კამის აღმოსავლეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. სარაპულის ჩრდილო აღმოსავლეთით 30 ვერსზე ფლოტილიის დახმარებით ბრძოლა სწარმოებს. ვოტკინის ჩრდილოეთით 10 ვერსზე, სოფ. მიშეინო დავიჭირეთ. პერმის რაიონში რკინის გზის სამხრეთით ჩვენ წინსვლას განვაგრძობთ, რკ. გზ. სამხრეთით გზაჯვარედინით პერმისაკენ მარჯვეთ მივიწევთ წინ და რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. **პეტერბურგი.** ივნ. 18. პეტერბურგის „პრავდაში“ საშინაო თავდაცვის უფროსი სწერს: „პეტერბურგის თავდაცვის უფროსის შტაბში მთელი დღე და ღამე შეუწყვეტელი მუშაობაა. ყველა საქმე თავის ადგილზეა და შტაბის ყველა სამუშაოს გამოცდილი და საიმედო პირები და პროფესიონალური კავშირების პარტიული ორგანიზაციები ასრულებენ. პეტროგრადი არა საიმედო ელემენტებისაგან იწმინდება, მაგრდება და სამხედრო სამზადისშია. ყოველივე საქმეში დახმარებას გვიწევენ მუშები. პეტერბურგის მუშების სახით ჩვენ ნამდვილი საიმედო და ერთგული ამხანაგები მივიღეთ. მათის დახმარებით ჩვენ შევსძლებთ არამც თუ შევაჩეროთ შემოტევა, არამედ სრულიად დავამარცხოთ მოწინააღმდეგე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

დღეს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ოლქის კომიტეტის სხდომა.

◆ **საერობო არჩევნები** ბორჩალოს მაზრაში დამთავრებულ რიგში ყველა ოლქებში გაიმარჯვა სოც.-დემ. სია № 1.

◆ **სიკვდილით დასჯა.** 15 ივნისს, დილის 8 ნახევარზე საგუბერნიო საპყრობილის ეზოში დახვრიტეს გორის მაზრის მცხოვრებნი ი. მ. და ვ. ნაცვლიშვილები, რომელთაც შატბერაშვილის მოკვლისათვის სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა მიესაჯა.

◆ **მიწათმოქმედების სამინისტროს** სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა განყოფილება აცხადებს, რომ 19 ივნისს, დილის 12 საათზე განყოფილების შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, 22) დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა შემდეგი ბაღების მოსავლისა „სკრასი" (ყოფილი არ. სარაჯიშვილის და ფრიდონოვის), ქართლის (მუხრანის), ყარაიაზის სალილო მინდვრის, (ყოფილი არამიანცის და მანთაშევის) ბორჩალოს მაზრა. მსურველებმა წერილობითი განცხადება უნდა შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში.

◆ **მოხსენებათა დილა.** 15 ივნისს სახელმწიფო თეატრში გაიმართა მოხსენებათა დილა ომში დახოცილ დასახიჩრებულთა ოჯახების სასარგებლოდ. დილას აუარებელი ხალხი დაესწრო, მთელი დარბაზი გაჭედილი იყო. მოხსენებათა შინაარსი ეხებოდა ლენინის მიერ კავკასიის რესპუბლიკების წინააღმდეგ გამოლაშქრებას. ილაპარაკეს: ეგზ. გეგეჭკორმა, ივ. გომართელმა, ალ. ლომთათიძემ, აკ. პაპავამ, ჰაიკ აზატიანმა, პეტროსიანმა, [illegible] და აზერბეიჯანის პარლამენტის წევრმა ჯამალ-ბეკოვმა, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს ლენინის წინააღმდეგ საბრძოლველად. დამსწრე საზოგადოებაში მოწოდებებმა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

◆ **თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა** მოსამსახურეების გაფიცვა გამოცხადდა 16 ივნისს. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

◆ **რუსთა ყრილობაზე,** რომელიც მოწვეული იყო თბილისში, მონაწილეობას იღებდა გადამწყვეტი ხმით 146 დელეგატი. ყრილობას დაესწრო მხოლოდ 58 დელეგატმა. ყრილობაზე გამოცხადდა სულ 205 წარმომადგენელი; ბაქოდან იყო 25. ყრილობის მიერ დამტკიცებული იყო მხოლოდ 188 მანდატი. ზოგიერთები მოითხოვდენ ბაქოელების მანდატები ყველა დაემტკიცებინათ და რადგანაც ეს ყრილობის მიერ არ იყო შეწყნარებული, დელეგატების ერთმა ნაწილმა ყრილობა დასტოვა.

◆ **მომრიგებელი მოსამართლენი,** ზოგიერთ უბნების ჯერ კიდევ არ შესდგომიან თავიანთ მოვალეობის ასრულებას. მეხუთე უბნის მომრიგებელ მოსამართლედ არჩეულია ბ-ნი მაჭავარიანი, რომელსაც ჯერ ბინაც არ დაუქირავებია სასამართლოსათვის. აუარებელი საქმეები განუხილველ-გაურჩეველი რჩება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებლებში.

◆ **სასურსათო განფასება.** ქალაქის თვითმმართველობისა აცხადებს, რომ იგი ანაწილებს საარაოსნო და ბინის კომიტეტებს და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებს შორის (უკანასკნელთაგან წარმოდგენილი უნდა იქნას სია მოსამსახურეთა და შინაურ ბარათები). 1) საპონს—ფუთი 296 მან. სულზე 8 გირვ., 2) პერლოვი კრუპას—212 მ. ფუთი, თითო გირ. სულზე, 3) ლობიოს—90 მ. ფ. სულზე 1 გირ. 4) ნახშირს—15 მანეთი ფუთი, 20 გირვანქა სულზე. 5) და აგრეთვე განუსაზღვრელ რაოდენობით მარილს დაფქვილს 22 მან. ფუთს და ხვრელში—18 მ. ფ. 6) ხმელეულს 98 მან ფ. და 7) ტომატს—60 მან. ფ.

◆ **სწავლის შეწყვეტა.** 14 ივნისიდან ყველა უმაღლეს, საშუალო და დაბალ სასწავლებლებში მეცადინეობა შესწყდა.

◆ **ქალთა სამხატვრო სახელოსნო** სასწავლებელმა განათლების სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ქალთა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი მიღებულ იქნას სახელმწიფო სასწავლებლად. სამინისტრომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დაადგინა თავის წარმომადგენელი გამოცდებზე დასასწრებლად.

◆ **საბავშო თეატრი.** ეს ერთი ხანია თბილისში დაარსდა ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდათა დრამატიული წრე—„საბავშო თეატრი", რომელსაც მიზნად აქვს მუდმივათ ქართული წარმოდგენების მართვა. ეს წრე მომავალ კვირას მართავს პირველ წარმოდგენას, რომელშიაც უმეტესად ბავშვები მონაწილეობენ.

◆ **ქურდობა.** 18 ივნისს, ვართანეშ პარუმიანცის ბინიდან მოიპარეს 10,000 მან. და სხვადასხვა ნივთები. მილიციამ დააპატიმრა რ. მარკარიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული ნივთები.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება სოხუმს.

კ რ ე ბ ე ბ ი.

საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ რაიონის წევრთა საზოგადო კრება შესდგება სახალხო სახლში პარასკევს, საღამოს 5 საათზე. ამ დღისათვის დასრულებული იქნება კოლექტივის მოქმედების ანგარიშები.

— ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება სომეხ სოციალ დემოკრატების კრება.

პროვინციის ქრონიკა.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ გადაწყვიტა 20 ამა ივნისიდან გახსნას ახალ სენაკში სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის თვენახევრიანი კურსები, [illegible], რომლებსაც უკვე დაენიშნათ სათანადო მოწვეულობანი, მიიღებენ ერობიდან საჭირო ხარჯს. კურსებზე დასწრება შეუძლიათ სხვა მსურველებსაც.

ცენტრალურ პურის საცხობში

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შემდეგი ცნობა გაუგზავნა შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს:

„მას შემდეგ, რაც ქალაქთა კავშირისაგან უკან ჩაიბარა ქალაქმა ცენტრალური პურის საცხობი და აუცილებელი ცვლილებანი მოახდინა ადმინისტრაციაში, მუშების ნაწილმა იმ თავითვე აითვალისწუნა ახალი ადმინისტრაცია და მიუხედავად ქალაქის გამგეობის მიერ მიღებულ ყოველგვარ ზომებისა, მუშაობა სასურველი გზით არ მიდის. ზოგჯერ ფქვილს სრულიად არ სცრიან და პური ან მჭადი ბაწრის ნაკუწებით და ჩალით საესეა. ზოგჯერ პური ან მჭადი სრულიად ფუჭდება გამოცხობის დროს და მიზეზად ხან ფქვილის უვარგისობას ასახელებენ ხან სხვა მასალის უქონლობას, მაშინ, როდესაც იმავე ფქვილისაგან ქალაქის სხვა ფურნეებში კარგი ღირსების პური და მჭადი ცხვება. პურის უვარგისობის შესახებ ბევრი საყვედური მიიღო გამგეობამ მომხმარებლებისაგან საერთოდ და სხვათა შორის, სახალხო გვარდიის შტაბისაგანაც, რომლისთვისაც ქალაქი აცხობს პურს. გამგეობა დარწმუნებულია, რომ ეს ყოვლად დაუშვებელი საბოტაჟია, რის საშუალებითაც ხელშემშლელნი ახალი ფურნის ადმინისტრაციის მაგიერ თვითონები ხელმძღვანელების უკან დაბრუნებას ცდილობენ. ძველმა ადმინისტრაციამ კი ისეთი დაუდევრობა და უთავბოლობა გამოიჩინა, რომ ყოვლად შეუძლებელია იმათ ხელში საქმის ხელ-ახლად ჩაგდება.

ამის გამო გამგეობამ 18 ივნისის სხდომაზე, დაადგინა, რომ თუ ასეთი მდგომარეობა ფურნეში გაგრძელდა, ის იძულებული იქნება სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან მუშები, როგორც უვარგისნი და არც არავითარი სალიკვიდაციო არ მისცეს მათ".

რიტმი და თანამედროვე ხანა

დღეს, 17 ივნისს, ჟან დალკროზის რიტმიული გიმნასტიკის ინსტიტუტის თბილისის განყოფილება, რომელიც საქართველოს მთავრობის დახმარებით არის დაარსებული და რომელსაც ხელმძღვანელობს ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე დალკროზისა ქ-ნი ზალცმან-მარჯანიშვილი—მართავს თავის საღამოს სახელმწიფო თეატრში. აღნიშნული ინსტიტუტი არის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი საკულტურო აღზრდელობითი მნიშვნელობის მქონე დაწესებულება თბილისში და დამახასიათებელ თვისებად არა მარტო თბილისის განყოფილებისა, არამედ მთელი ინსტიტუტისა (განყოფილებები კი ინსტიტუტს აქვს არა მარტო ყველაზე კულტურულ ცენტრებში ძველი, არამედ ახალი ქვეყნისაც) ჩაითვლება მისი მისწრაფება, რომ შეიჭრეს არა მარტო ყველაზე კულტურულ წრეებში, არამედ ასე ვსთქვათ ხალხის ფართო წრეებშიც, რომ გააკეთოს თავისი საქმე: ადამიანის ტანის შეგნებული (არა მექანიკური) ფიზიკური განვითარება რომელიც დამყარებული იქნება რიტმისა*) და ესტეტიკის**) კანონებზე. ჯერ ჯერობით ინსტიტუტს შედარებით ცოტა ჰყავს მოწაფეები, რომელნიც სწავლა დაემთავრებინოთ და გამოსულიყვნენ პიონერებად ფიზიკური გაწვრთნის ახალი მეთოდისა (თუმცა ინსტიტუტში მოსწავლეთა რიცხვი წლიწადში აღიოდა ასორმოცდაათამდე; მათში თექვსმეტი ბავშვი იყო). მაგრამ ესეც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რომ ის საქმე, რომელიც დაწყებულია ქ. ზალცმან-მარჯანიშვილის მიერ არ დაიღუპება თბილისში.

რა არის მთავარი იდეები და მიზნები ქ. ზალცმანისა? როგორია განვითარების ის მიზნები და მეთოდები, რომლითაც მისდევს ის? არის თუ არა მისი სკოლა მარტო გიმნასტიკის სკოლა, ცეკვა მხოლოდ, თუ მას აქვს უფრო ფართო მიზნები: ადამიანის განვითარებისა ბავშვობის ხანიდან მოყოლებული კარგა ხნიერ ხანამდე? ქ. ზალცმანის მიზნები მართლაც რომ სცილდება ვიწრო გიმნასტიკის ანდა ცეკვის საზღვრებს, სკოლის მთავარი გამოსავალი იდეა და მიზანი მოპოვებისა არის შეგნება ადამიანის მიერ რიტმისა საზოგადოდ და საკუთარი ტანის მოძრაობის ხელში აღება, რომელიც აგრეთვე რიტმის კანონებზე იქნება დამყარებული. მე ვიგონებ სიტყვებს გენიალური პიანისტისა და კომპოზიტორისა ანტონ რუბინშტეინისა, რომლებიც მან რიტმის შესახებ წარმოსთქვა. მან გადაასხვაფერა საღ. წერილის სიტყვები: „პირველად იყო რიტმიო". და მართლაც რიტმი, ანუ კანონი, რომელიც სწვრთის მოძრაობას, რომელიც ჯგუფის უწესრიგო მოძრაობათა კონგლომერატისაგან ჰქმნის ერთ სწორე მოძრაობას, ერთიან გამოჰქრილ აღმაფრენას—არის ის უძლიერესი ძალა, რომელმაც შეჰქმნა ბურლაკების სიმღერები ვოლგაზე, ანდა ის ქართული სიმღერები, რომლებსაც მღერიან ხოლმე, მაგალითად, როცა საპირეთ საუკუნიან ფიჭვის ხის ტყიდან გამოტანა სახელდახელოდ, სიმღერები, რომლებიც განსაზღვრავენ ხანდახან მთელი სოფლის ძალის რიტმს ან მჭედლობის რიტმი, რომელიც შეძლებას აძლევდა ძველი საქართველოს მჭედლებს ერთად ცხრა კაცს ემუშავნა ერთი ნაჭერი რკინის გამოსაჭედად. ხომ იხმარება ეხლაც იმერეთში სიტყვები—მჭედლის „ცხრა", „ექვსი" და სხვ. დარტყმისა—ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ მჭედლის რიტმის გრძნობას. *) სკოლის დემონსტრაციაში ჩვენ ვნახავთ რიტმიულ მუშაობას, რომელიც მიმართულია ადამიანის ტანის მოძრაობის მართვისაკენ მხოლოდ გიმნასტიკის (მუშაობა ადამიანის ტანის გასაჯანსაღებლად) დარგში, პლასტიკაში (მუშაობა ადამიანის ტანის მოძრაობის გასალამაზებლად) და ცეკვაში, რომელიც შეერთების გვირგვინია ორივე წინა მუშაობისა, ეს არის პატარა ნაწილი იმ დიდი მიზნისა, რომელზედაც მე ვსთქვი, მაგრამ ამასთანავე ეს არის ის მარცვალი, რომლიდანაც უნდა აღმოცენდეს ის დიდი ხე, რომლის ტოტებში უნდა ჰპოვონ თავშესაფარი ბულბულებმაც—მომღერლებმა, შროშანებმაც—მიწის მომუშავეებმა კოდალოებმაც—შუშის მჭრელებმა და ლამაზმა პეპლებმაც. მაგრამ მე გამოვსთქვამ მტკიცე იმედს, რომ სკოლის დემონსტრაციები ახლო წლებში არ დაეტევიან სახელმწიფო თეატრში, როდესაც აუარება ბავშვები, ახალგაზრდა ვაჟები და ქალები გამოაშკარავებენ მოძრაობის რიტმის დიდ მანათობელ სხივებში, რომელიც გამოხატავს მარადისობის მოძრაობის რიტმს.

ვინ იცის შეიძლება ამ მომავალ დემონსტრაციების ასპარეზად გადაიქცეს ვაკე, რომელიც თითქოს თვით ბუნების მიერ არის შექმნილი სახალხო ამფიტეატრის მსგავსად ანტიკური თეატრების დაგვარათ. და შეიძლება ჩვენი დროის ლოზუნგი—„ხალხში და ხალხისათვის"—განახორციელოს ქ-ნი ზალცმანის სკოლამ, რომლის მისწრაფებაა მისცეს მასსებს რიტმი, სიჯანსაღე, სილამაზე.

თ. გარემ. ნი.

---

*) რიტმი—კანონი, წესი მოძრაობისა საერთოდ, ასე ვსთქვათ საზომი მოძრაობისა.

**) ესტეტიკა—მეცნიერება, რომელიც სწავლობს სილამაზის კანონებს.

*) მუშაობაში რიტმის მნიშვნელობაზე იხ. წიგნი ლეიპციგის ცნობილი მეცნიერის ბიუხნერისა: „მუშაობა და რიტმი".

ფქვილ ნახშირის გამოცდა

ივნისის 12 რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში მოხდა ფქვილნახშირის გამოცდა. გამოცდას დაესწრო რკინის გზების მოძრაობის გამგე ოდიშელიძე, მთავარ სახელოსნოების უფროსი სარაჯიშვილი, ინგლისელი წარმომადგენელი მაიორი ბრუტი, რკინის გზის ინჟინრები ალფეევი, დუკაშვილი და სხვანი. საცდელად გამოყენებული იქმნა ერთი ძველი ორთქმავალი, რომელიც დიდი ხანია ხმარებიდან გამოსულია და ერთს ადგილზე არის გაჩერებული. ამ ორთქმავალის დუმელი წინასწარ [illegible] იქმნა გამოწმენდილი და კარგად გამოშრალი. ფქვილნახშირის მიწოდებული მოწყობილობა, რომლითაც დუმელში ნახშირი უნდა შეიბეროს ქვაბის გასახურებლად, „მახურა" (ფორსუნკა) დამზადებული იქმნა ინჟ. ალფეევის გამოანგარიშებით და გაკეთებულ ნახაზების მიხედვით. „მახურა"-ს ნახშირით მოსამარაგებლად გამოყენებულ იქმნა ერთი ძველი, განიერი პირტუჩა მილი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ძველ დროს ამავე მიზნისთვის დაუნიშნავებიათ და შემდეგ კი ისევ მიუტოვებიათ. ეს მილი ძალიან შეუფერებელ ადგილზე არის და ნახშირის საწინდე ბუქს აყენებს, მაგრამ იძულებული ვიყავით ჯერ-ჯერობით ამით დავკმაყოფილებულიყავით და მით გვესარგებლა. „მახურა", რომელიც ამერიკულ ორთქმავლებზე რიცხვით სამია და ნახშირის ფქვილის მტვრის დაბლიდან უნდა სცემდეს დუმელის გადავარვარებულ თაღს, წინასწარ ცდისათვის ჩვენ ზევიდან, დუმელის კარების წინ გვქონდა დამაგრებული, როგორც საცდელის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მისი მოხმარება, თუ მის მოქმედების ღირსება ნაკლის შენიშვნა. სათბობად აღებული იქნა ტყვიბულის ჩვეულებრივი ნარჩევი ნახშირი, რომელიც რკინის გზის სახელოსნოებში მოიპოვებოდა და წინასწარ გაშრობის შემდეგ იქვე დაფქვილ იქნა 25 ფუთამდე. შეკუმშული ჰაერი იქვე გვერდით მდებარ სახელოსნოს მილიდან გამოვიყვანეთ. გამოცდის დაწყებამდის ჯერ 10-15 დღე შეშით გავახურეთ დუმელის თაღი და შემდეგ კი, როდესაც შეშა მიიწვა, ამოქმედდა „მახურა". ჯერ ნელ-ნელა შევუშვით ნახშირი და გაცამტვერებული ჰაერ ნაზავი ნახშირი ერთიან ცეცხლის ალად იქცა. შემდეგ თანდათან მოვუმატეთ ნახშირსაც და ჰაერსაც, და რაც უფრო მეტი ნახშირი შედიოდა დუმელში, მით უფრო მგზნებარე ხდებოდა ცეცხლი; ასე რომ, ბოლოს დუმელი საშინელ ცეცხლის ალის მორევის შთაბეჭდილებას წარმოადგენდა. ისე საუცხოოდ მიმდინარეობდა ნახშირის წვა, რომ ბოლის ნატამალიც კი არ მოსჩანდა საკვამურიდან. თავისთავადაც ადვილი წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ თვით დუმელში, სადაც საშინელი ქარიშხალისებური ცეცხლის ალი ტრიალებდა, არავითარი ნაცარი აღარ იქნებოდა.

ამ გამოცდამ ყველა დამსწრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა გაკვირვებით თუ კმაყოფილებით შესცქეროდა „მახურა"-ს მოქმედებას. ყველა დარწმუნდა, რომ ამ გვარ ფქვილ ნახშირით მატარებლების ამოძრავება ძალიან ადვილი; მეტად სასარგებლო და უძლიერესად პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. ამისათვის მოძრაობის გამგე ოდიშელიძემ დაავალა ინჟ. ალფეევს ახლა მომავლისათვის „მახურა"-სათვის შესაფერი ფქვილით მასაზრდოებელი დაამზადოს. როდესაც ეს მანქანაც მზად იქნება (ასე, ათ დღეში—ორ კვირაში), მაშინ ცდა შეიძლება გადატანილ იქმნას მოძრავ ორთქმავალზედაც და გამოკვლეული იქნება მატარებლისათვის ნახშირის სათბობ მოძრავი უნარიანობა.

მიხ. შალამბერიძე.

P. S. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რკინის გზის სახელოსნოებში სამწუხაროდ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც მუშათა შორის აგიტაციას ეწევიან ნახშირის ამგვარად ხმარების შემოღების წინააღმდეგ. სასურველია ამას ბოლო მოეღოს.

ყადირ გვარამაძის საფლავთან

24 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ საიქიოთ გადაიცვალა საქართველოს დამფუძნებელი კრების და ახლაც ხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი ყადირ-ბეგ ოღლი გვარამაძე.

მოუთმენლად გულის ფანცქალით ელოდა 70 წლის მოხუცი დამფუძნებელ კრების ტრიბუნაზე გამოსვლას, რათა ქვეყნისთვის ეცნობებინა, თუ ვისი წყალობით დაიღვარა ახალციხის მაზრაში ძმათა შორის უმანკო სისხლი.

თუ ვიდრომე დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე გამოსვლას, როგორც ორჯერ ითხოვა, ისე დაუმტკიცებ ქვეყანას, რომ ახალციხის ტრაგედია, ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია ოსმალების ემისრებმა და იმ ბეგების პროვოკაციულმა მოქმედებამ, რომლების ბატონობის დღეები დაითვლილია, ყველას ეცნობა ჩვენ დამცემელ ბატონებს... მაგრამ ამას უნდა მიაწვდინოთ ხალხს, შევქმნათ მაგარი მთავრობა და დავანახოთ მშრომელთ, რომ საქართველოს მართლა მათი ინტერესების დამცველია და ყოველივე გაქრება ისე, ვით მზისგან ნისლი. ზოგი ქვემო მაჰმადიანი რომ ეტყვიან, სწორედ ასე მოგვივიდა, რაც უნდა გვექადაგნათ ჩვენი ხალხისთვის, ვერ დავაჯერებდით, რომ საქართველოს მოწყობილი სახელმწიფო იყო, რადგანაც სულ იმას ეუბნებოდნენ ჩვენი მტრები: „რაა საქართველო" „იქა ფუნდუ ადამ" (ორი კაცი ნახევარია და, როცა გვინდა, მაშინ გავყლაპთ აქედან". მოტყუებული ზოგიერთი მცხოვრებიანები ამით გადიბირეს, მაგრამ დღე-

მთელი ხალხი ასე იძახის: „ამოდენა ძალა ნიკოლაზ მთავრობას არ ჰქონია". ყველას სჯერა, რომ საქართველო შესძლებს პატრონობას და განამტკიცებს სამუდამოთ მეზობლობას და სიყვარულს ქართველ მუსლიმანთა და ქართველ ქრისტიანთა შორისა.

ამ განსვენებულის უკანასკნელი სიტყვები ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოში წარმოთქმული 20 იანვარს, სადაც ურმით მოიყვანეს ავადმყოფი.

ამავე დღეს გადამგზავრეთ წამლებით და მომვლელებით სახლში, მაგრამ ულმობელმა სენმა გამოგვტაცა ხელიდან ადამიანი, რომლის მაგვარი გონებაც გაკვირვებას იწვევდა ყველა ჩვენგანში.

დაასაფლავეს ისე, რომ არავისთვის არ უცნობებიათ, რადგანაც მუსლიმანებში ჩვეულებაა—მოკვდება თუ არა ადამიანი იმავე დღეს დაასაფლავებენ... მაგრამ ჩვენ ხომ ვერ დავივიწყებთ მართლაც დაუვიწყარ პიროვნებას და ამიტომ მისი პატივისცემის აღსანიშნავად 29 მაისს დანიშნული იყო სოფელ ზიკილიაში სასაფლაოზე მიტინგი.

გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის წარმომადგენელმა თ. კიკვაძემ. ორატორს ერთხმად „გაუმარჯოს საქართველოს" ძახილით და ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას. აგრეთვე ილაპარაკეს იქ დამსწრე გლეხებმა, რომლებმაც ფიცი დასდვეს ყადირას სასაფლაოზე, რომ ისინი არ გადაუხვევენ იმ გზას, რომელსაც განსვენებული უჩვენებდა და მოხარულიც ვართ, რომ ერთი დედის შვილ ძმებს, დროებით დაშორებულებს,—საშუალება გვეძლევა ჩვენს მშობლიურ ენაზე გაცნობოთ ჩვენი ჭირ-ვარამი და სხვ.

სასაფლაოს ამშვენებს შესანიშნავი გვირგვინი მაღალ ბოძზე მიკრული ზედ წარწერით: შესანიშნავ ქართველ მუსლიმან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს ყადირ გული ოღლი გვარამაძეს—საქართველოს დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან. გვირგვინის მიტანამ ხალხი დიდათ აღაფრთოვანა. მზის სხივებზე მოელვარე გვირგვინი გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას იპყრობს და იმედნით ახლოა უმთავრეს გზაზე, რომელიც მიდის ახალ-ციხე ახალ-ქალაქ,-აბასთუმან-აჭარა-ბათუმისაკენ, რომ ძალაუნებურად ყველა მიდის და გებულობს, რომ ძველ მესხეთშიც ყოფილა ადამიანი, რომლის გაცივებული ძვლები სამარიდანაც უწოდებს ყველას ძმობა, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ, კარგი იქნება თუ ამ ადგილას აგებულ იქნება ძეგლი.

ი. უპეიშვილი

ს.-დემ. პარტიაში

თბილისი. 11 ივნისს შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის, მცირე კოლექტივების წევრთა და რაიონში მომუშავე მუშების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. კრებას დაესწრო 80 კაცამდე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

სხდომის გახსნისას ამხ. გ. მაჭავარიანმა (თავმჯდომარე) განმარტა კრების მოწვევის მიზეზი, რის შემდეგ სხდომამ ისმენს მოხსენებას ადგილებიდან, საიდანაც ირკვევა, რომ რაიონში პარტიული მუშაობა საგრძნობლად შესუსტებულა (გარდა ერთი უბნისა—საბურთალოსი, სადაც მცირე კოლექტივი ცხოველ მუშაობას განაგრძობს).

სხდომა იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „გამოირკვა რა მოხსენებიდან, რომ რაიონში პარტიული მუშაობა შესუსტებულა, რაც გამოწვეულია წევრთა გულგრილობით და რაც არა სასურველ პირობებს ჰქმნის პარტიისათვის, პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლად სხდომა საჭიროთ სთვლის: 1) დაევალოს რაიონულ კოლექტივს და მცირე კოლექტივების წევრებს იმოქმედონ ენერგიულად პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად, 2) მიეცეს წინადადება იმ ძველ ამხანაგებს, რომელნიც მოსწყდნენ პარტიას, დაუბრუნდნენ მას და განაახლონ მუშაობა, 3) ყველა მნიშვნელოვან ადგილებში დაარსდეს მცირე ორგანიზაციები, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება რაიონულ კოლექტივთან, 4) ყველა მცირე კოლექტივებს უფლება ეძლევათ შეადგინონ პარტიაში ჩაწერის მსურველთა სია სრული რეგისტრაციით და წარმოუდგინონ რაიონულ კოლექტივს მიეცანს პარტიაში ჩასაწერათ".

მცირე ორგანიზაციების დაარსება დაევალათ ზოგიერთ ამხანაგებს.

მდივანი.

5 ივნისის კოლექტივის სხდომის ანგარიშში (იხ. „ერთობა" № 125) შემდეგი შეცდომაა: „მესამე კითხვის შესახებ თანახმად საგამომძიებლო კომისიის მოხსენებისა სხდომა ადგენს: 1) გამოწვეულ იქნას პ. წ. ი. ლაფაჩიძე ფრონტიდან და 2) საქმის გამორკვევამდე გადაყენებულ იქნას პარტიის წევრობიდან. უნდა იყოს: მხოლოდ გამოწვეულ იქნას ფრონტიდან. საქმის გამორკვევამდე პარტიის წევრათ რჩება.

პროვინცია

ფოთი. ორიოდე კვირის წინათ ფოთში შემოვიდა ფრანგების გემი „ანატოლია", რომელიც დატვირთული იყო ტყავსაცმელებით და მანუფაქტურით. საქონელი გაიგზავნა თბილისში მთავრობის სახელზე.

გემზე იმყოფებოდნენ საფრანგეთის სავაჭრო პალატის წევრები, რომლებმაც მიიწვიეს ქალაქის წარმომადგენელნი გემზე და გაუმართეს რაუტი. რაუტზე წარმოითქვა სიტყვები. აღსანიშნავია გემის უფროსის სიტყვა. მან განაცხადა, რომ ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ფოთში შესვლისა, ვინაიდან მარსელიდან დაწყებული სტამბოლამდე ყველა არწმუნებდა, რომ საქართველოში ანარქიაა, ძარცვა გლეჯა და ყაჩაღობაა. თუ ფოთში შეხვალთ, გემს გაგიძარცვავენ და გვირჩევდნენ ბათუმში შესვლას. მაგრამ საქონლის პატრონებმა არ დამიჯერეს და მე იძულებული ვიყავი გემი ფოთის ნავთსადგურში შემომეყვანა.

ფრანგების გემების საზოგადოება „პაკემ" დანიშნა ფოთში თავისი მუდმივი წარმომადგენელი.

ამ კვირაში მოელიან საზ. „პაკეს" გემებს. ერთი კვირის წინათ ფოთში შემოვიდა ამერიკელების გემი საქონლით დატვირთული. საინტერესოა, თუ როგორ ჩამოვიდნენ ისინი.

პირველ დღეს გემის მმართველობამ ქალაქში შემოაგზავნა ორი მეზღვაური ქალაქის ცხოვრების გასაცნობათ, მათ უნდოდათ გაეგოთ, არის თუ არა ქალაქში „ბოლშევიკური" ხასიათის რაიმე. მეზღვაურებმა გემის უფროსებს გააცნეს ქალაქის ცხოვრება. მხოლოდ ამის შემდეგ ისინი შემოვიდნენ ქალაქში.

ფრანგები დაგვპირდნენ, რომ ისინი საფრანგეთის ვაჭარ მრეწველთა წრეებს გააცნობენ საქართველოს ნამდვილ მდგომარეობას და ურჩევენ გემები გზავნონ პირდაპირ ფოთში, რომელიც ვაჭრებისათვის ბათუმზე გაცილებით ხელსაყრელია. და აი რატომ: ბათუმში ინგლისელები ახდევინებენ სადამოჟნო გადასახადს ქალაქის სასარგებლოთ. შემდეგ ნატანების საწყობში იხდიან გადასახადს. აღსანიშნავია, რომ ყველა დაწესებულებები ნავთსადგურისა ჩვეულებრივი დიდი ენერგიით მუშაობდნენ. ფრანგებმა მუშების მიერ წამოყენებული პირობები მოიწონეს და კმაყოფილი დარჩნენ.

სამი კვირის წინეთ ფოთიდან გავიდა ინგლისელთა გემი შავი ქვით დატვირთული. ეს გემი პირველია, რომელიც გაიგზავნა ომის დაწყების შემდეგ ინგლისში. შავი ქვის ექსპორტიორებმა მადლობა განუცხადეს მუშების წარმომადგენლებს მუყაით და ნაყოფიერ მუშაობისათვის და განაცხადეს, რომ ვინაიდან პირობები ხელსაყრელია მათთვის, ისინი შეეცდებიან სისტემატიურათ ზიდონ შავი ქვა საქართველოდან.

ფრანგებს განზრახული აქვთ საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება გამართონ საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების შესახებ და სთხოვეს ფოთის ქალაქის თავს ამ საქმეში დახმარების აღმოჩენა. X.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო თეატრი. 15 ივნისს ქართველ მსახიობების მიერ წარმოდგენილ იქნა გუცკოვის ცნობილი ტრაგედია „ურიელ აკოსტა". აკოსტას როლი მდიდარ მასალას აძლევს მსახიობს, დრამატიულ როლების აღმსრულებელ მსახიობთათვის მეტის მეტად მიმზიდველია და შეიძლება ამით აიხსნება ის, რომ ნიჭიერ მსახიობ ბ-ნ ალ. იმედაშვილმა ამ როლს მოჰკიდა ხელი. ალ. იმედაშვილი თანამედროვე ქართველ მსახიობებში, ერთ ნიჭიერთაგანი არის და თავის შესაფერ როლებში მას ჩვენ სცენაზე ბადალი არ ჰყავს. რაც შეეხება ალ. იმედაშვილის ურიელს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს როლი სრულიად არ შეეფერება მსახიობს ამ როლის დაძლევა მის ძალას აღემატება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსახიობს მეტად უხეირო გრიმი გაეკეთებინა. სხვა მსახიობებზე არ შევჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოგიერთებმა როლები არ იცოდნენ და ხშირად ტექსტს ისე ამახინჯებდნენ, რომ მაყურებლებში სიცილს იწვევდნენ. სიტყვა მაყურებლებზე ჩამოვარდა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ თეატრში მოსიარულე ზოგიერთი „მგრძნობიარე" თავს ვერ იკავებს და მსახიობის რომელიმე წარმოთქმულ სიტყვას ვაშას ძახილით აწყვეტინებს. აურ ზაურს, უადგილო სიცილს მოქმედების დროს და ძლიერ ტაშს ხომ დასასრული არ უჩანს!..

ა. ბ

განცხადებანი

დაიკარგა სახელმწიფო თეატრში 11 ივნისს საღამოს საფულე მანოგრამიანი, რომელშიაც იყო ოცდა რვა თუმანი ფული, უვადო „პასპორტი" მიცემული სენაკის სამაზრო უფროსისაგან, რევოლვერის ტარების ნებართვა, მიცემული თბილისის გუბერნიის კომისარისაგან № 2058, და სხვადასხვა დოკუმენტები. მპოვნელს ეთხოვება ფული დაიტოვოს და დოკუმენტები და საფულე დამიბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტებს ვთვლი გაუქმებულად. მისამართი: ქ. თფილისი, ბოროსეს ქუჩა, სახლი 4—5, გიორგი გიორგის ძე ჩიქოვანი.

ს. ბახვში (ოზურგეთის მაზრა) ადგილობრივ მეპარკეთა ამხანაგობის საწყობში იყიდება
ორი წლის
ხმელი აბრეშუმის პარკი
დაახლოვებით 160 ფუთი. მყიდველს შეუძლია მოელაპარაკოს ს. ბახვში, სერაპიონ ჭელიძეს. (2—1)

შაბიამანი
სპილენძის, რკინის და ცინკის
სიმჟავეები:
გოგირდის, მარილმჟავის, აზოტის და აკუმულატორი ნიშადურის სპირტი **იყიდება**
ქიმიურ ქარხანა
„ატომ"-ში
თფილისი, ელისაბედის ქ. № 204, ტელეფონი 152. (2—2)

რკინის გზის ნავთლუღის სასურსათო კომიტეტის (მანთაშოვისეულ) ბაღში—რადიო ტელეგრაფის გვერდით **იყიდება** რკინის გზის მოსამსახურეებზე
პომიდორის ნერგი
10 კ. და 15 კ. ძირი. ცნობების მიღება შეიძლება სასურსათო კომიტეტში, ელისაბედის ქუჩა № 200. (3—2)

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, ნერვიულ და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დილისით 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ნიკოლოზ იოანეს ძე მასხულაძე
იღებს სიფილისურ—ვენერიულ (ცვილი და მისი შედეგებით დაავადებულთ) ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, შემდეგის აფთიაქის ახლოს.

დოქტორი მ. ზოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი დ. მ. ჯაჯანიძე
გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათის. მიხეილის პროსპექტი № 64 ტელეფონი 14—69.

ექიმი ლ. ა. ხარაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] აუდიტორიის ახლო.

ექიმი მ. ფ. მზადლობლიშვილი
ქალისა და [illegible] ავადმყოფთ ს მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 41, ტელ. 12—76.

ექიმი ქალი რ. მ. ზიზლერ-ხახვიძე
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ბერლინის მედიკურ ქირურგიულ კლინიკისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 118 ტელეფონი № 9—26.

ექიმი ლ. ი. ცაგარიძე
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა № 9.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
მ. ბ. მიხრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლუქსით და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფებისათვის. დარიგებებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმმა ი. მ. [illegible]
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილას 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № ტელ. 4—15.

ექიმი ვ. ა. შაფრანი.
[illegible] სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს ცალკე 4—5 საათამდე. კვირაობით [illegible] დილით. მისამ: ოლღას ქ. №33.

ექიმი გ. ი. ხარაშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღას ქუჩა № 24, ტელეფ. 1—35

ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი აპოლონ პავლეს ძე ქურუშაძე ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 34. ტელ. 10—81.

ექ. ძ. თ. ტყეშელაშვილის
საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავადმყოფობანი საშარდე და სასქესო ორგანოთა. ფუნიკულიორის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბეღლეის (№ 1) ქუჩებისა შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

განცხადება
ბ. მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით 18 ამ ივნისს სკრის სახელმწიფო ერთეულ მამულში—სოფ. სკრა (ყოფილი ძმ. ავსარქისოვებისა და ფილიპოვის) დანიშნულია შეჯიბრებითი
საჯარო ვაჭრობა
მიმდინარე წლის ბაღისა და ალუბლის მოსავალზე (სულ 250 ძირი კარგათ მოსხმული სხვადასხვა ჯიშის ხე).
ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება მსურველმა უნდა შემოიტანოს მამულის მართველის სახელზე წერილობითი განცხადება ერთ მანეთიანი დღიურის მარკით და შეთ 50% იმ თანხისა რამდენიდანაც იწყება ვაჭრობა. პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე მამულის გამგესთან—სად. სკრა—საქართვ. სახ. რკინ. გზა. (2—1)

ბახმაროს მომხმარებელი საზოგადოება „ჯანმრთელობის" გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 20 ივნისს დილის 10 საათზე ქ. ოზურგეთში
საჯარო ვაჭრობით გაიცემა
შემდეგი დაწესებულებანი: სასადილო, სამიკიტნო, სახორცე, საწვრილმანო დუქანი, [illegible], სახიდე, სასწორი და სხვა.
დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის წევრ ვლადიმერ გიორგაძესთან ს. ბახვში.
პატივისცემით ბახმაროს საზოგადოების „ჯანმრთელობის" გამგეობა. (1—1)

განცხადება
სენაკის რაიონის კოოპერატივთა საყურადღებოთ.
25 ივნისს ახალ-სენაკში; სენაკის რაიონული კოოპერატივთა კავშირი მართავს ორ-კვირეულ კოოპერატიულ კურსებს, სადაც მოკავშირე კოოპერატივებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი მსმენელები. პირობები მსმენელთათვის შემდეგია: ბინა მსმენელებს ეძლევათ უფასოთ, მხოლოდ დღიური საზრდოსათვის ყოველი კოოპერატივი თავისი გამოგზავნილი მსმენელს აძლევს 20 მანეთს ე. ი. 15 დღეში 300 მანეთს და უკან გზის ფულს.
სენაკის რაიონის კოოპერატ. კავშირის გამგეობა. (4—1)

[illegible] სტამბა რუსთაველის, [illegible] შესახვევი, №1.